



5003/3-13/22 2 06062022



5003/3-13/22  
06-06-2022

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**თავმჯდომარეს, ბატონ დავით დარჩიას**

1. თქვენ მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 20 მაისის №37-37221402 წერილის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შშმ პირთა საერთო რაოდენობა მიმდინარე პერიოდისთვის შეადგენს 264-ს. თუმცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2022 წლის 28 თებერვლის №36-3622059174 წერილის მიხედვით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლის თებერვლის თვის მდგომარეობით რეგისტრირებულ შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირების რაოდენობა შეადგენდა 2087 პირს.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით და გთხოვთ, მომაწოდოთ ახსნა-განმარტება, რით არის განპირობებული თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ხსენებულ წერილში მითითებულ რაოდენობაში არსებითი სხვაობა (თქვენ ასახელებთ 264 პირს, ხოლო მერის მოადგილე ასახელებს 2087 პირს)?

2. მოგეხსენებათ, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები/დაწესებულებები ვალდებული არიან, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, შეიმუშაონ და დანერგონ

დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური ინკლუზიის პროგრამები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით, აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს ინფორმაცია თქვენ მიერ 2022 წლის 20 მაისის №37-37221402 წერილში მითითებულ შშმ პირთა ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ?

3. თქვენ მიერ გამოგზავნილ 2022 წლის 20 მაისის №37-37221402 წერილში მითითებულია, რომ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ შშმ პირების უფლებების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წლიური სამოქმედო გეგმა დაამტკიცა 2021 წლის 7 ივლისს (განკარგულება №38).“

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმის ასლი.

4. თქვენ მიერ გამოგზავნილი 2022 წლის 20 მაისის №37-37221402 წერილის მიხედვით, „2021 წლის 1 იანვრიდან მიმდინარე პერიოდამდე, ზემოთ აღნიშნული კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, მუნიციპალიტეტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: ა) შშმ პირებისთვის მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი დაფინანსებით შემუშავდა ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ასახულია მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტში და მიმდინარე წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.“

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ თქვენ მიერ ნახსენები მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული ღონისძიებათა სისტემის ამსახველი დოკუმენტი.

5. ასევე, თქვენი 2022 წლის 20 მაისის №37-37221402 წერილის თანახმად, „შემუშავებულია და დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება, (მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 13 სექტემბრის N4997 ბრძანება), აღნიშნული საბჭო არის მუდმივმოქმედი და საჭიროების შემთხვევაში მასში შედის შესაბამისი ცვლილებები.“

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ:

ა) საბჭოს აღნიშნული დებულება;

ბ) საბჭოს შექმნის დღიდან დღემდე ჩატარებული საბჭოს სხდომათა ოქმები.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ანა ბუჩუკური

